განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
NATIONAL CENTER FOR EDUCATIONAL QUALITY ENHANCEMENT

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება, საფეხური

"დიპლომირებული სტომატოლოგის" ერთსაფეხურიანი სამედიცინო საგანმანათლებლო პროგრამა (ინგლისურენოვანი)

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სახელწოდება

სსიპ - თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი

შეფასების თარიღ(ებ)ი
27-28 ოქტომბერიი, 2020

დასკვნის წარდგენის თარიღი
26 ნოემბერი, 2020

თბილისი

ინფორმაცია უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ[1]

დაწესებულების სახელწოდება ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის მითითებით	სსიპ - თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი
დაწესებულების საიდენტიფიკაციო კოდი	11328703
დაწესებულების სახე	უნივერსიტეტი

ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება	დიპლომირებული სტომატოლოგი
უმაღლესი განათლების საფეხური	ერთსაფეხურიანი
მისანიჭებელი კვალიფიკაცია[2]	დიპლომირებული სტომატოლოგი
დეტალური სფეროს დასახელება და კოდი	დენტალური მედიცინა 0911
ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითება (მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის ან მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში)	
სწავლების ენა	ინგლისური
ECTS კრედიტების რაოდენობა	300
პროგრამის სტატუსი (ავტორიზებული/აკრედიტებული/პირობით აკრედიტებული/ახალი/საერთაშორისო აკრედიტაცია) შესაბამისი გადაწყვეტილების მითითებით (ნომერი, თარიღი)	აკრედიტებული

ექსპერტთა ჯგუფის წევრები

თავმჯდომარე (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	ვლადიმერ მარგველაშვილი, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია,	ქეთევან ნანობაშვილი, საქართველოს

[1] ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში: მიეთითება ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებელი დაწესებულებები; „დაწესებულების საიდენტიფიკაციო კოდის“ და „დაწესებულების სახის“ მითითება არ არის სავალდებულო უცხო ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად აღიარებული უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებ(ებ)ისათვის

[2] უცხო ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად აღიარებულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებასთან ერთად ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შემთხვევაში თუ განსხვავდება მისანიჭებელი კვალიფიკაციის ფორმულირება, მიეთითება ცალ-ცალკე დაწესებულებების მიხედვით

ქვეყანა)	უნივერსიტეტი, საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	ვერა ხუნძაკიშვილი; კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი, საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	ელენე ხურციძე, ნიუ ვიჟენ უნივერსიტეტი, საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის შემაჯამებელი დასკვნა

- **ზოგადი ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ**

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის დიპლომირებული სტომატოლოგის ინგლისურენოვანი პროგრამის აკრედიტაცია განხორციელდა 2012 წლის 6 სექტემბერს და ამოქმედდა 2017 წლიდან. პროგრამა მიზანად ისახავს კვალიფიციური, კონკურენტუნარიანი და კომპეტენტური დიპლომირებული სტომატოლოგის მომზადებას, რომელიც მზად არის დიპლომის შემდგომი განათლებისა და სპეციალიზაციისთვის. პროგრამის მიზნები შეესაბამება თსსუ-ის დეკლარირებულ მისიასა და ღირებულებებს. იგი ნათლად არის ჩამოყალიბებული და მიღწევადია.

პროგრამის ხანგრძლივობა 5 წელია, მოცულობა - 300 ECTS კრედიტი. ერთი კრედიტი შეესაბამება 30 საათს. პროგრამის სასწავლო კურსები განაწილებულია შემდეგნაირად:

- 106 კრედიტი (ბიოსამედიცინო, სოციალური და პრეკლინიკური სასწავლო კურსი)
- 132 კრედიტი (პროფილური კლინიკური სასწავლო კურსი)
- 52 კრედიტი (არაპროფილური კლინიკური სასწავლო კურსი)
- 10 კრედიტი (არჩევითი სასწავლო კურსი)

სავალდებულო და არჩევითი კრედიტების თანაფარდობაა 290/10.

საგანმანათლებლო პროგრამა თანმიმდევრული და დღევანდელობასთან ადაპტირებული, თანამედროვე სამეცნიერო და სასწავლო ინფორმაციის შემცველი სასწავლო კურსებით არის წარმოდგენილი. სააკრედიტაციო პერიოდის განმავლობაში პროგრამაში განხორციელდა გარკვეული ცვლილებები. კერძოდ, II სემესტრში დაემატა საგანი „სამეცნიერო უნარ-ჩვევები“ – 2 კრედიტი; შეიქმნა კლინიკური ინტეგრაციის 2 კურსი: „ოპერაციული ოდონტოლოგია და ენდოდონტია“, X სემესტრი, „ბავშვთა და მოზარდთა ქირურგიული სტომატოლოგია და ყბა-სახის ქირურგია“, X სემესტრი. 2017/2018 სასწავლო წლის X სემესტრიდან სასწავლო გეგმაში დაემატა სასწავლო კურსი „კომუნიკაციის უნარები“. 2017 წლიდან პროგრამაში გაიზარდა არჩევითი საგნების წილი: მეორე სემესტრში დაემატა „ბიოფარმაციის საფუძვლები“ და „ფიტოთერაპიის საფუძვლები“, ხოლო მეოთხე სემესტრში , „ფიზიკური ფაქტორები სტომატოლოგიურ პრაქტიკაში“ და „ლიდერობა“.

2017 წლიდან სამედიცინო უნივერსიტეტში წარმატებით ხორციელდება პროგრამა,

რომელიც გულისხმობს აშშ-ის, ევროკავშირის ქვეყნების, დიდი ბრიტანეთის, თურქეთის და ისრაელის უნივერსიტეტების წამყვანი პროფესორების მოწვევას.

- **აკრედიტაციის ვიზიტის მიმოხილვა**

  ექსპერტთა ჯგუფის ვიზიტი განხორციელდა 2020 წლის 27-28 ოქტომბერს, ექსპერტთა ჯგუფი წარმოდგენილი იყო შემდეგი შემადგენლობით: ვლადიმერ მარგველაშვილი (თავმჯდომარე), ქეთევან ნანობაშვილი (წევრი),ვერა ხუნძაკიშვილი (წევრი), ელენე ხურციძე (წევრი).

  ვიზიტი წარიმართა ჰიბრიდულად: 27.10.2020 ექსპერტთა ჯგუფის წევრებმა დაათვალიერეს ფაკულტეტის სასწავლო აუდიტორიები, ლაბორატორიები, საფანტომო და სასწავლო კლინიკური ბაზები, ბიბლიოთეკა. ხოლო 28.10.2020 - შეხვედრა ჩატარდა ონლაინ (Zoom-პლატფორმის საშუალებით).

  ვიზიტის დროს შედგა ინტერვიუები უნივერსიტეტის ადმინისტრაციასთან (რექტორის მოადგილე, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის მ/შ, ფაკულტეტის დეკანი), პროგრამის თვითშეფასების ჯგუფთან, ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელთან, აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან, სტუდენტებთან და ადგილობრივ დამსაქმებლებთან. ექსპერტთა ჯგუფის წევრებმა დაათვალიერეს ფაკულტეტის სასწავლო აუდიტორიები, ლაბორატორიები, საფანტომო და სასწავლო კლინიკური ბაზები, ბიბლიოთეკა. ინტერვიუების პროცესი მიმდინარეობდა შეუფერხებლად და მშვიდ, კოლეგიალურ გარემოში, კონსტრუქციული დიალოგით და მსჯელობით კონკრეტულ საკითხებთან მიმართებაში. უსდ-ს თანამშრომლების მიერ ნაჩვენები იყო თანამშრომლობის სრული მზაობა, ვიზიტის პერიოდში, გასაუბრებისას ექსპერტთა ჯგუფის მიერ მოთხოვნილი დამატებითი დოკუმენტაცია დაუყოვნებლივ იქნა წარმოდგენილი. ექსპერტთა ჯგუფს საშუალება ჰქონდა ობიექტურად შეეფასებინა პროგრამა თითოეული სტანდარტის მიხედვით. სამუშაო დღის ბოლოს ექსპერტთა ჯგუფმა წარმოადგინა ძირითადი მიგნებების წინასწარი პრეზენტაცია უნივერსიტეტის წარმომადგენლებთან.

- **საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტებთან შესაბამისობის მოკლე მიმოხილვა**

პროგრამა აგებულია საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით და ევროპული კრედიტების ტრანსფერის სისტემის გათვალისწინებით. შემუშავებულია თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების (დაგეგმვის, შემუშავების, განვითარების, შეცვლისა და გაუქმების) წესის შესაბამისად. პროგრამის მიზანი რეალისტური და მიღწევადია, შესწავლილია ადგილობრივი შრომის ბაზრის მოთხოვნები, პოტენციურ დამსაქმებელთა რეკომენდაციები და საერთაშორისო ბაზრის ტენდენციები. პროგრამის შესახებ ინფორმაცია საჯარო და ხელმისაწვდომია. პროგრამის სწავლის შედეგები თანხვედრაშია უმაღლესი განათლების მეორე საფეხურისთვის რელევანტურ შედეგებთან და შეესაბამება მისანიჭებელი კვალიფიკაციის მოთხოვნებს. პროგრამის სწავლის შედეგებში ასახულია პროგრამის შინაარსით გათვალისწინებული თეორიული და პრაქტიკულ ცოდნა, დარგის სპეციფიკური უნარ-ჩვევების და თანამედროვე ეთიკური ღირებულებებისა და პასუხისმგებლობა- ავტონომიურობის

სისტემის ჩამოყალიბება.

უსდ-ს განსაზღვრული აქვს სტუდენტთა პროგრამაზე დაშვების პირობები შესაბამისობაშია საქართველოს კანონთან განათლების შესახებ. პროგრამის ხელმძღვანელისა და განმახორციელებელი აკადემიური პერსონალის კვალიფიკაცია შესაბამისობაშია საკვალიფიკაციო მოთხოვნებთან. თითოეულ მათგანს გააჩნია ინგლისურ ენაზე სტუდენტებისათვის სალექციო მასალის მიწოდების კომპენტენცია, რაც დასტურდება მათ პირად საქმეში არსებული ინფორმაციით.
აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის განვითარების მიზნით, წარმოებს სხვადასხვა ღონისძიებები. უნივერსიტეტი უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის შედეგების მისაღწევად საჭირო მატერიალურ-ტექნიკურ ბაზას. სწავლების პროცესში ხორციელდება აკადემიური, მოწვეული და ადმინისტრაციული პერსონალის შეფასება. მოქმედებს შიდა და გარე შეფასების სისტემები. პროგრამის ბიუჯეტში გათვალისწინებულია ხარჯები აკადემიური პერსონალის განვითარების, ინტერნაციონალიზაციის, ბიბლიოთეკისათვის და სხვა.

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის ერთსაფეხურიანი უმაღლესი ინგლისურენოვანი საგანმანათლებლო პროგრამის „სტომატოლოგია“ აკრედიტაციის სტანდარტებთან შესაბამისობის შემოწმებისას ექსპერტთა ჯგუფმა დაადგინა:

პირველი სტანდარტი _ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან, რადგან კომპონენტი 1.1 და კომპონენტი 1.2 შესაბამისობაშია მოთხოვნებთან.

მეორე სტანდარტი _ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან, რადგან კომპონენტები 2.1, 2.2, 2.3, 2.4, 2.5, და 2.6 შესაბამისობაშია მოთხოვნებთან.

მესამე სტანდარტი _ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან, რადგან კომპონენტი 3.1 შესაბამისობაშია მოთხოვნებთან.

მეოთხე სტანდარტი _ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან, რადგან კომპონენტები 4.1, 4.2, 4.3 და 4.4 შესაბამისობაშია მოთხოვნებთან.

მეხუთე სტანდარტი _ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან, რადგან კომპონენტები 5.1, 5.2 და 5.3 შესაბამისობაშია მოთხოვნებთან.

- **რეკომენდაციები**

- **რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**

1) გაიზარდოს სტუდენტების საერთაშორისო აქტივობები და ჩართულობა გაცვლით პროგრამებში პროგრამის განვითარებისთვის - იქიდან გამომდინარე, რომ

მიუხედავად 2012 წელს მიღებული აკრედიტაციისა, პროგრამაზე სტუდენტების მიღება განხორციელდა მხოლოდ 2017 წელს, ინგლისურენოვან დიპლომირებული სტომატოლოგის პროგრამას არ ყავს მაღალკურსელები. რჩევა გაცემულია პროგრამის შემდგომი დახვეწისათვის.

2) დასკვნით გამოცდაზე დაშვების წინაპირობად განისაზღვროს სილაბუსით გათვალისიწინებული სავალდებულო მანიპულაციები და არა მხოლოდ 11 ქულა რაც ძალიან ადგვილად მისაღწევია სტუდენტისათვის
3) დასკვნით გამოცდაზე დაშვების წინაპირობად დაწესებული 11-ქულიანი ბარიერი გაიზარდოს (25-მდე) - 11-ქულიანი ბარიერი დამტკიცებულია მინისტრის ბრძანებით განათლების შესახებ (მე-3 ბრძანება) უსდ მოქმედებს კანონით გათვალისწინებული დაშვების ფარგლებში. მაგრამ სტუდენტთა აკადემიური მოსწრების ამაღლების მოტივაციის მიზნით გაცემულია რჩევა ბარიერული ქულის აწევის შესახებ.
4) კურსის განხორციელებაში მონაწილე აკადემიური პერსონალისა და მოწვეული პედაგოგების, ასევე სტუდენტების მეტი მოტივაციისა და წახალისების მიზნით მათი სამეცნიერო შრომების გამოქვეყნების ხელშოწყობა მაღალი ციტირების ინდექსის მქონე რეფერირებად ჟურნალებში - აღნიშნული აქტვობა აღინიშება უსდ-ში, თუმცა მეტი ჩართულობა როგორც აკადემიური პერსონალის, მოწვეული პედაგოგებისა თუ სტუნდებისა, წარმოადგენს პროგრამის კიდევ უფრო მეტი სრულყოფილების საწინდარს.
5) უსდ ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურში ცალკე ჩამოყალიბდეს პროგრამის მონიტორინგზე პასუხისმგებელი ჯგუფი - ხარისხის მონიტორინგი მიმდინარეობს უსდ-ში, რასაც ახორციელებს უნივერსიტეტის ხუს-ი. სასუველია პროგრამაზე მონიტორინგის ცალკე ჯგუფის ჩამოყალიბება, რასაც ასევე რჩევის სახით გასცემს სააკრედიტაციო კომისია.
6) უზრუნველყოფილი იქნას ლიტერატურის პერმანენტული განახლება - ამჟამად არსებული სასწავლო კურსი აღნიშნულ პროგრამა უზრუნველყოფილია განახლებული და რელევანტური ლიტერატურით. სასურველია ეს ტენდენცია პერმანენტული ხასიათის იყოს
7) ქვეყანაში (მსოფლიოში) შექმნილი ეპიდ-სიტუაციის გამო განვითარებული პაციენტის დეფიციტის თავიდან ასაცილებლად და პაციენტის მოზიდვის მიზნით შეიქმნას სპეც-პროგრამები სტუდენტის შეუფერხებელი კლინიკური დატვირთვის ხელშესაწყობად;
8) გაძლიერდეს სტუდენტთა წვდომა ფასიან ბიბლიოთეკებთან და სამეცნიერო პუბლიკაციასთან - სტუდენტთა წვდომის პრეცენდენტი ფასიან ბიბლიოთეკებთან დადასტურდა ბიბლიოთეკის დათვალიერებისას და ადგილზე საკითხის შესწავლისას. თუმცა, ინტერვიუს საფუძველზე, სტუდენტების მხრიდან აღნიშნული იყო, რომ დამატებით ლიტერატურასთან მათ წვდომას პედაგოგები უზრუნველყოფდნენ. ამ ფაქტის გათვალისწინებით გაიცა აღნიშნული რჩევა, რაც მხოლოდ პროგრამის კიდევ უფრო მეტ დახვეწას შეუწყობს ხელს.

9) წახალისდეს სტუდენტების მეტი ჩართულობა სამეცნიერო მუშაობაში - სტუდენტები ჩართულნი არიან კვლევით საქმიანობაში. მათი მეტი მოტივირება წაადგება უსდ-ს აღნიშნული პროგრამის განვითარებისთვის.
10) სასურველია, დამსაქმებლების აქტიური ჩართულობა პროგრამის განვითარების პროცესში, რათა შემდგომში კიდევ უფრო მეტად იქნას უზრუნველყოფილი შრომის ბაზრის ინტერესების ინტეგრაცია მომავალი დასაქმებულის სწავლის პროცესში - ბაზრის მოკვლევა და დამსაქმებელთა შეფასება, მათი გამოკითხვა არის ის პროცედურები, რაც ჩატარეულია უსდ-ის მიერ და რაც შეასაბამისობაშია უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის ახალ სტანდარტებთან. პროგრამის გაძლიერებისა და სამომავლოდ კურსდამთავრებულთა უკეთესი ინტეგრირებისთვის შრომის ბაზარზე სასურველია გათვალისწინდეს წინამდებარე რჩევა.
11) დამსაქმებელთა ინტერესის გაძლიერებისა და საერთაშორისო ბაზრისათვის ეფექტიანი პროდუქციის წარმოების მიზნით განხორციელდეს საერთაშორისო და საზღვარგარეთის კლინიკების კვლევა (შესაძლებელია ამ მიზნით უსდ-ს პარტნიორ საუნივერსიტეტო კლინიკებთან დაკავშირება) - ბაზრის კვლევა ჩატარებულია, თუმცა მეტი ინფორმირებულობისთვის და იმის გათვალისწინებით, რომ საერთაშორისო უცხოენოვანი პროგრამის კურსდამთავრებული საქართველოს ფარგლებს მიღმა გააგრძელებს პროფესიულ საქმიანობას, სასურველია უსდ-ს მიერ განსაზღვრული იქნას პრიორიტეტები, რასაც საზღვარგარეთ არსებული კლინიკა (დაწესებულება) ითვალისწინებს დასაქმებულის აყვანისას.
12) ტექნიკური თუ ბეჭდური ხარვეზების დაკორექტირება სასწავლო პროგრამის სილაბუსებში.
13) სასურველია, საერთაშორისო პროგრამაზე სტუდენტთა მიღების რეგლამენტს მიეცეს ერთიანი სახე, რაც გულისხმობს მათთან გასაუბრების რეგლამენტის დაწესებას, მათ მიერ აკადემიური დონის შესაბამისად ბიო-სამედიცინო მეცნიერებებში ცოდნის შემოწმებას - პროგრამაზე სტუდენტთა ჩარიცხვის წესი რეგულირდება საქართველოს კანონით "უმაღლესი განათლების შესახებ" (52-ე მუხლი). შესაბამისად, რჩევა გაცემულია პროგრამაზე კიდევ უფრო მაღალი აკადემიური დონის მქონე აპლიკანტების მისაღებად, რაც საფუძველს შეუქმნის პროგრამის გაძლიერებას სამომავლოდ.

- **საუკეთესო პრაქტიკის მოკლე მიმოხილვა (არსებობის შემთხვევაში)**

პროგრამაში ზოგიერთი სასწავლო კურსის დასრულებისას სტუდენტთა შეფასება ხორციელდება ობიექტურად სტრუქტურირებული კლინიკური გამოცდით (OSCE), რაც უმნიშვნელოვანესია სტუდენტის როგორც თეორიული ცოდნის, ასევე - პრაქტიკული უნარების ობიექტურად შესაფასებლად. პროგრამაში ჩართულია ინტეგრირებული სასწავლო კურსები, რომელთა შეფასება გამოითვლება შესაბამისი ალგორითმის საშუალებით. ხორციელდება კომუნიკაციური უნარების სწავლება.
„დარგობრივი საორიენტაციო კურსი სტომატოლოგიაში", რომელიც მიზნად ისახავს სტუდენტს დეტალურად, მისი აკადემიური მომზადების დონის გათვალისწინებით, გააცნოს სტომატოლოგის სპეციალობის სპეციფიკა, ასევე, დიპლომირებული სტომატოლოგის როლი ჯანმრთელობის დაცვის თანამედროვე სისტემაში.

თსსუ-ის აპ. ურუშაძის სახელობის სტომატოლოგიური კლინიკის საერთაშორისო დონის საფანტომო-სიმულაციური კლასის არსებობა.

- **ხელახალი აკრედიტაციისას, მნიშვნელოვანი მიღწევებისა და/ან პროგრესის მოკლე მიმოხილვა (ასეთის არსებობის შემთხვევაში)**

წინა აკრედიტაციის შემდგომ პროგრამას დაემატა საგანი „სამეცნიერო უნარ-ჩვევები“, შეიქმნა კლინიკური ინტეგრაციის 2 კურსი: „ოპერაციული ოდონტოლოგია და ენდოდონტია“ და ბავშვთა და მოზარდთა ქირურგიული სტომატოლოგია და ყბა-სახის ქირურგია“, ოდონტოლოგიის დეპარტამენტში სასწავლო გეგმაში დაემატა სასწავლო კურსი „კომუნიკაციის უნარები“.
2017 წლიდან პროგრამში გაიზარდა არჩევითი (ელექტიური) საგნების წილი: II სემესტრში დაემატა „ბიოფარმაციის საფუძვლები“და „ფიტოთერაპიის საფუძვლები“ - 2-2 კრედიტი. IV სემესტრში დაემატე „ფიზიკური ფაქტორების სტომატოლოგიურ პრაქტიკაში“ და „ლიდერობა“- 2-2 კრედიტი.

პროგრამის შესაბამისობა აკრედიტაციის სტანდარტებთან

1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა

პროგრამას აქვს ნათლად ჩამოყალიბებული მიზნები და სწავლის შედეგები, რომლებიც ლოგიკურადაა ერთმანეთთან დაკავშირებული. პროგრამის მიზნები შეესაბამება უნივერსიტეტის მისიას, მიზნებსა და სტრატეგიულ გეგმას. პროგრამის გაუმჯობესებისთვის მუდმივად ფასდება პროგრამის სწავლის შედეგები.

1.1 პროგრამის მიზნები
პროგრამის მიზნები ასახავს, თუ რა ცოდნის, უნარებისა და კომპეტენციების მქონე კურსდამთავრებულის მომზადებისკენ არის მიმართული და რა წვლილი შეაქვს სფეროსა და საზოგადოების განვითარებაში.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი პროგრამის მიზნები შეესაბამება უნივერსიტეტის მისიას, მიზნებსა და სტრატეგიულ გეგმას. მიზნები არის რეალისტური და მიღწევადი. უსდ-ს მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციის, პროგრამის თვითშეფასების ანგარიშისა და ვიზიტისას განხორციელებული ინტერვიუს შედეგების მიმოხილვის მიხედვით,პროგრამის მიზნები მკაფიოა და ნათლად ასახავს თუ რა ცოდნის, უნარებისა და კომპეტენციების მქონე კურსდამთავრებული უნდა მოამზადოს პროგრამამ. პროგრამა მიზნად ისახავს კვალიფიციური, კონკურენტუნარიანი და კომპეტენტური დიპლომირებული სტომატოლოგის მომზადებას, რომელიც მზად არის დიპლომის შემდგომი განათლებისა და სპეციალიზაციისთვის. პროგრამის მიზანია კურსდამთავრებულთა საერთაშორისო დონეზე აღიარების, მობილობის უზრუნველყოფა. ასევე, იმ დარგობრივი უნარების განვითარება, რომლის შედეგად, პროგრამის დაძლევის შემდეგ, დიპლომირებული სტომატოლოგი შეძლებს მუშაობის გაგრძელებას შესაბამისი კანონმდებლობის ფარგლებში (საქართველოს შრომის, ჯანმრთელობის და სოციალური დაცვის მინისტრის ბრძ.#244/ნ, 16/07/2009). პროგრამის მიზნები ითვალისწინებს ადგილობრივი და საერთაშორისო მოთხოვნებს, პოტენციური დამსაქმებლების რეკომენდაციებს. პროგრამის მიზნები საჯაროა და ხელმისაწვდომია ვებგვერდზე. უნივერსიტეტი ითვალისწინებს პროგრამაში ჩართული პერსონალის, სტუდენტების და კურსდამთავრებულების, დამსაქმებლების გამოკითხვის შედეგებს და რეკომენდაციებს, ადგილობრივი და საერთაშორისო ბაზრის მოთხოვნებს. გამოკითხვა ტარდება survey monkey – ის საშუალებით. პროგრამამ განიცადა მოდიფიცირება რაც ითვალისწინებს სტუდენტზე ორიენტირებულ სწავლებას და მიმართულია ,,მისთვის საბაზისო მეცნიერებების, სტომატოლოგიაში ეროვნული და საერთაშორისო თანამედროვე სტანდარტების შესაბამისი თეორიული ცოდნის და ამ ცოდნის პრაქტიკაში ეფექტურად გამოყენების უნარის შეძენისკენ; უზრუნველყოფს სტუდენტისთვის კრიტიკული აზროვნების, ეთიკური და პროფესიული ღირებულებების გამომუშავების, პაციენტთან და მის ახლობლებთან კომუნიკაციის, კონსულტაციის, სხვისი პოზიციის მოსმენის, პოლემიკაში შესვლის, კოლეგების აზრის გათვალისწინების უნარის შეძენისაკენ''. უნივერსიტეტს გააჩნია ინტერნაციონალიზაციის სტრატეგია. აქტივობებში ჩართულია აკადემიური პერსონალი, თუმცა გაცვლით პროგრამებში და საერთაშორისო აქტოივობებში ინგლისურენოვანი სტომატოლოგიიის საგანმანათლებლო

პროგრამის სტუდენტების ჩართულობა ჯერჯერობით არ აღინიშნება. პროგრამის ფარგლებში აღინიშნება უცხოელი სპეციალისტების ჩართულობა სასწავლო პროგრამით გათვალისწინებულ აქტივობებში. იქიდან გამომდინარე, რომ მიუხედავად 2012 წელს მიღებული აკრედიტაციისა, პროგრამაზე სტუდენტების მიღება განხორციელდა მხოლოდ 2017 წელს, ინგლისურენოვან დიპლომირებული სტომატოლოგის პროგრამას არ ყავს მაღალკურსელები. სასურველია პროგრამის შემდგომი დახვეწისათვის სამომავლოდ გათვალისწინებული იქნეს აღნიშნული აქტივობა.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ○ საგანმანათლებლო პროგრამა; ○ უნივერსიტეტის ვებგვერდი; ○ უნივერსიტეტის მისია, ხედვა და ღირებულებები; ○ უნივერსიტეტის სტრატეგია; ○ ფაკულტეტის დებულება; ○ თსსუ-ში „საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავების, დამტკიცების, მასში ცვლილებების შეტანის და გაუქმების წესი“; ○ სტუდენტებთან ჩატარებული კვლევის შედეგები; ○ კურსდამთავრებულებთან ჩატარებული კვლევის შედეგები; ○ თსსუ-ს სტომატოლოგიის ფაკ-ის საბჭოს სხდომის ოქმი სამუშაო ჯგუფების დამტკიცების შესახებ; ○ თვითშეფასების სამუშაო ჯგუფის სხდომის ოქმები; ○ სტომატოლოგიის ფაკულტეტის და აკადემიური საბჭოს/-ების სხდომის ოქმის ამონაწერები პროგრამის დამტკიცების შესახებ.
რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის ○ სტომატოლოგიის ინგლისურენოვანი სტუდენტების ჩართულობის გაზრდა საერთაშორისო გაცვლით პროგრამებში
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): ○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) ○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

შეფასება

✓ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

1.2 პროგრამის სწავლის შედეგები

- პროგრამის სწავლის შედეგები აღწერს იმ ცოდნას, უნარებსა ან/და პასუხისმგებლობასა და ავტონომიურობას, რომლებსაც სტუდენტი იძენს პროგრამის დასრულებისას;
- პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების პროცესი მოიცავს სწავლის შედეგების გასაზომად საჭირო მონაცემთა განსაზღვრას, შეგროვებასა და ანალიზს;
- შეფასების შედეგები გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

პროგრამის სწავლის შედეგები აღწერს იმ ცოდნა, უნარებსა და ღირებულებებს, რომელსაც კურსადმთავრებული ფლობს პროგრამის დასრულებისას.

სწავლის შედეგები თანხვედრაშია უმაღლესი განათლების პირველი საფეხურისთვის განსაზღვრულ შედეგებთან. პროგრამის სწავლის შედეგები ასახავს ძირითად თეორიულ და პრაქტიკულ ცოდნას, დარგობრივ უნარ-ჩვევებს, ტრანსფერულ უნარებს, პროფესიული ღირებულებების, როგორიცაა პასუხისმგებლობისა და ავტონომიურობის ჩამოყალიბებას.

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტში დადგენილია და მოქმედებს საგანმანათლებლო პროგრამების სწავლის შედეგების შეფასების წესი, რომელიც წარმოადგენს გარკვეული მექანიზმების ერთობლიობას, რითიც ხორციელდება საგანმანათლებლო პროგრამების სწავლის შედეგების შეფასება. პროგრამის სწავლის შედეგების შეფასება ხორციელდება პროგრამის სუსტი და ძლიერი მხარეების გამოვლენის მიზნით. განისაზღვრება სწავლის შედეგების მიღწევადობა. ყველა ამ მონაცემის და შედეგის გაანალიზე ბის შედეგად ხდება პროგრამის განვითარებისთვის საჭირო ღონისძიებების დაგეგმვა და გატარება. სწორედ ამ ინფორმაციაზე დაყრდნობით განხორციელდა მთელი რიგი ცვლილებები პროგრამაში: გაიზარდა ელექტიური საგნების წილი (დაემატა 10 კრედიტი) სტუდენტის ზოგადი სამედიცინო განათლების განვითარებისათვის, გაიზარდა კლინიკური დატვირთვის წილი საფანტომო კურსის ხარჯზე. (ოდონტოლოგიის დეპარტამენტში, საგნის სწავლების ოპტიმიზაციის მიზნით, VI სემესტრში, 5 პრაქტიკული მეცადინეობა მოაკლდა საფანტომო კურსს და კლინიკური საქმიანობის გაუმჯობესების მიზნით დაემატა კლინიკურ კურსს), განხორციელდა რამდენიმე კლინიკური კურსის ინტეგრაცია. სწავლის შედეგებში ასახულია დამსაქმებელთა მოთხოვნები, დარგის სპეციფიკა და გათვალისწინებულია შიდა და საერთაშორისო შრომითი ბაზრის მოთხოვნები. თუმცა, საერთაშორისო პროგრამის ინგლისურენოვანი სტუდენტის სამომავლო დასქმების უზრუნველყოფისთვის კარგი იქნებოდა უცხოური კლინიკებში გამოკითხვის ჩტარება (უსდ-ის პარტნიორი საუნივერსიტეტი კლინიკები).

პროგრამასა და ცალკეულ სილაბუსებში წარმოდგენილია სწავლის შედეგების რუკა,

რომელიც ასახავს სწავლის შედეგების მიღწევას კონკრეტული კურსის ფარგლებში. ასევე შედეგის მიღწევის ხარისხობრივ მაჩვენებელს. ელექტიური სასწავლო კურსების დამატება მიმართულია სტუდენტის ზოგადი სამედიცინო განათლების განვითარებისაკენ. შედეგები არის მიღწევადი, რეალისტური და გაზომვადი. პროგრამის შემუშავებაში მონაწილეობას იღებდა პერსონალი, სტუდენტი, კურსდამთავრებულები, დამსაქმებლები შრომის ბაზრის მოთხოვნებთან შესაბამისობაში. ადგილობრივი დამსაქმებლების გამოკითხვის საფუძველზე გამოვლინდა სპეციალობისთვის აუცილებელი პრაქტიკული უნარ-ჩვევების ფლობა. პროგრამით განსაზღვრული, სრულყოფილი სწავლის შედეგის მიღწევისათვის კლინიკურ სასაწავლო კურსებში სასაწავლო საათების გაიზარდა საფანტომო კურსების ხარჯზე. პრაქტიკულ უნარების ჩამოყალიბება უმეტესად ხდება პაციენტთან მუშაობის დროს რის საშუალებასაც იძლევა უნივერსიტეტის მატერიალურ-ტექნიკური ბაზა. პრაქტიკული უნარ-ჩვევების ხვედრითი წილის გაზრდის ხარჯზე, მიღწევადია პროფესიონალი დიპლომირებული სტომატლოგის კვალიფიკაციის მქონე კურსდამთავრებულის მიღება, თუმცა გასათვალისწინებელია აგრეთვე უცხოენოვანი პროგრამის სტუდენტების საერთაშორისო აქტივობებში მეტი ჩართულობის მოტივაცია. სასურველია, აკადემიური მოსწრების მხარის გაძლიერება სწორედ მათი ჩართულობით გაცვლით პროგრამებსა და საერთაშორისო კონფერენციებში. თუმცა, ისიც გათვალისწინებელია, რომ რომ მიუხედავად 2012 წელს მიღებული აკრედიტაციისა, პროგრამაზე სტუდენტების მიღება განხორციელდა მხოლოდ 2017 წელს, ინგლისურენოვან დიპლომირებული სტომატოლოგის პროგრამას არ ყავს მაღალკურსელები. სამომავლოდ, აღნიშნულის განხორციელებით მიღწევადი იქნება პროგრამის კიდევ უფრო მეტი დახვეწა და წარმატებულობა.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ○ საგანმანათლებლო პროგრამა; ○ პროგრამის სილაბუსები; ○ სასწავლო კურსების სწავლის შედეგების და პროგრამის სწავლის შედეგების რუკა; ○ უნივერსიტეტის ვებგვერდი www.tsmu.edu ○ სტუდენტებთან ჩატარებული კვლევის შედეგები; ○ კურსდამთავრებულებთან ჩატარებული კვლევის შედეგები; ○ საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის, შემუშავების, განვითარების მეთოდოლოგია და შეფასების მექანიზმი; ○ სასწავლო პროცესის მართვის ელექტრონული სისტემა sms.tsmu.edu
რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის საერთაშორისო პროგრამის ინგლისურენოვანი სტუდენტის სამომავლო დასქმების უზრუნველყოფისთვის კარგი იქნებოდა უცხოური კლინიკებში გამოკითხვის ჩტარება (უსდ-ის პარტნიორი საუნივერსიტეტი კლინიკები). უცხოელი სტუდენტების საერთაშორისო აქტივობებში მეტი ჩართულობის მოტივაცია. დამსაქმებელთა ინტერესის გაძლიერებისა და საერთაშორისო ბაზრისათვის

ეფექტიანი პროდუქციის წარმოების მიზნით განხორციელდეს საერთაშორისო და საზღვარგარეთის კლინიკების კვლევა (შესაძლებელია ამ მიზნით უსდ-ს პარტნიორ საუნივერსიტეტო კლინიკებთან დაკავშირება)
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): ○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა ✓ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა	✓			

2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა

პროგრამაზე დაშვების წინაპირობები, პროგრამის სტრუქტურა, შინაარსი, სწავლება-სწავლის მეთოდები და სტუდენტთა შეფასება უზრუნველყოფს დასახული მიზნებისა და მოსალოდნელი სწავლის შედეგების მიღწევას.

2.1 პროგრამაზე დაშვების წინაპირობები
უსდ-ს განსაზღვრული აქვს პირთა პროგრამაზე დაშვების შესაბამისი, გამჭვირვალე, სამართლიანი, საჯარო და ხელმისაწვდომი წინაპირობები და პროცედურები.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი უსდ-ს განსაზღვრული აქვს პირთა პროგრამაზე დაშვების შესაბამისი, გამჭვირვალე, სამართლიანი, საჯარო და ხელმისაწვდომი წინაპირობები და პროცედურები. სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის, სტომატოლოგიის ერთსაფეხურიან ინგლისურენოვანი საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობები შეესაბამება კანონით განსაზღვრულ მოთხოვნებს: სტუდენტთა ჩარიცხვა ხორციელდება კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად (საქართველოს კანონი „უმაღლესი განათლების შესახებ“, 52-ე მუხლი). დიპლომირებული სტომატოლოგის ინგლისურენოვან პროგრამაზე დაშვების წინაპირობებად განსაზღვრულია შემდეგი მოთხოვნები: პროგრამაზე ჩარიცხვის მსურველი უნდა ფლობდეს სრული საშუალო განათლების დამადასტურებელ დოკუმენტი; ვალდებულია გაიაროს გასაუბრება თსსუ-ს რექტორის ბრძანებით შექმნილ შესაბამის კომისიასთან თსსუ-ს მიერ დადგენილია ინგლისური ენის მოთხოვნები (B2 დონე) იმ აპლიკანტებისათვის, ვინც ირიცხება ინგლისურენოვან პროგრამაზე, ენის ცოდნის დამადასტურებელი დოკუმენტის არ ქონის შემთხვევაში უნდა ჩააბაროს ინგლისური ენის ცოდნის ტესტი/გაიაროს გასაუბრება ინგლისური ენის ცოდნის დონის დასადგენად თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში დადგენილი წესით. თუ აპლიკანტს შეუძლია წარმოადგინოს სკოლა/კოლეჯი/უნივერსიტეტის ინგლისურენოვანი პროგრამის დასრულების დოკუმენტი ან ინგლისური ენის B2 დონეზე ცოდნის დამადასტურებელი ვალიდური სერტიფიკატი, აპლიკანტი გათავისუფლდება აღნიშნული ინგლისური ენის ტესტის ჩაბარებისგან.

არსებული რეგულაციების შესაბამისად ყველა აპლიკანტთან გასაუბრების ვიდეოჩანაწერი იტვირთება უნივერსიტეტის ვებგვერდზე და ხელმისაწვდომია განათლების, მეცნიერების, კულტურის და სპორტის სამინისტროსთვის. პროგრამაზე დაშვების წინაპირობების და პროცედურების შესახებ ინფორმაცია საჯარო და ხელმისაწვდომია. სტუდენტთა ჩარიცხვა აღნიშნულ პროგრამაზე ხორციელდება კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად (საქართველოს კანონი "უმაღლესი განათლების შესახებ", 52-ე მუხლი). სასურველია, საერთაშორისო პროგრამაზე სტუდენტთა მიღების რეგლამენტს მიეცეს ერთიანი სახე, რაც გულისხმობს მათთან გასაუბრების რეგლამენტის დაწესებას, მათ მიერ აკადემიური დონის შესაბამისად ბიო-სამედიცინო მეცნიერებებში ცოდნის შემოწმებას, რაც სამომავლოდ შექმნის პრეცენდენტს პროგრამაზე კიდევ უფრო მაღალი აკადემიური დონის მქონე აპლიკანტების მისაღებად, და რაც თავისთავად საფუძველს შეუქმნის პროგრამის გაძლიერებას სამომავლოდ.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ○ საგანმანათლებლო პროგრამა ○ თსსუ-ის შინაგანაწესი ○ უნივერსიტეტის ვებ-გვერდი www.tsmu.edu ○ თსსუ-ის სტუდენტთა მობილობის, შიდა მობილობისა და სწავლის პერიოდში მიღებული განათლების კრედიტების აღიარების წესი.
რეკომენდაციები: წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის სასურველია, საერთაშორისო პროგრამაზე სტუდენტთა მიღების რეგლამენტს მიეცეს ერთიანი სახე, რაც გულისხმობს მათთან გასაუბრებისას მათი აკადემიური დონის შესაბამისად ბიო-სამედიცინო მეცნიერებების ცოდნის დონის შემოწმებას.
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): ○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) ○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში) ○
შეფასება o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

√ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.2 საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი

პროგრამა შედგენილია უსდ-ში მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის გამოყენებით. პროგრამის შინაარსი ითვალისწინებს პროგრამაზე დაშვების წინაპირობებსა და სწავლის შედეგებს. პროგრამის სტრუქტურა თანმიმდევრული და ლოგიკურია. შინაარსი და სტრუქტურა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას. მისანიჭებელი კვალიფიკაცია შესაბამისობაშია პროგრამის შინაარსთან და სწავლის შედეგებთან.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

დიპლომირებული სტომატოლოგის ინგლისურენოვანი საგანმანათლებლო პროგრამა შედგენილია თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტში მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის გამოყენებით. პროგრამაზე სწავლა 10 სემესტრის მანძილზე მიმდინარეობს და 300 კრედიტს მოიცავს.

აღსანიშნავია რომ პროგრამის შეუშავების დღიდან ხორციელდება უწყვეტი ხარისხის კონტროლი, როლისთვისაც გამოიყენება შეფასების პირდაპირი და ირიბი მექანიზმები. პირდაპირ მექანიზმებს შორის განსაკუთრებულად მნიშველოვანია სტუდენტთა სემესტრული აკადემიური მოსწრებს ანალიზი. ასევე სტუდნეტთა და პროგრამაში ჩართულ აკადემიურ და მოწვეულ პედაგოგთა გამოკითხვები, რომელთა შედეგების ანალიზი მუდმივად ხორციელდება ფაკულტეტის მიერ. ანალიზის შედეგები წარმოადგენს პროგრამაში ცვლილებების განხორციელების საფუძველს. ცვლილებები პროგრამაში ხორციელდება შესაბამისი ფაკულტეტის კურიკულუმის კომიტეტის მიერ, განიხილება ჯერ ფაკულტეტის, შემდეგ- აკადემიური საბჭოს სხდომაზე და აისახება სასწავლო გეგმაში.

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის სტომატოლოგიის ერთსაფეხურიანი ინგლისურენოვანი საგანმანათლებლო პროგრამის ხარისხის უწყვეტი სრულყოფის პროცესის უზრუნველყოფის მიზნით ფაკულტეტმა წარმოადგინა გარე შეფასების დოკუმენტი, გარე შემფასებლის მიერ გაცემული რეკომენდაციები სრულად არის გათვალსიწინებული, მაგალითად ფინალური გამოცდის შეფასების კრიტერიუმების უფრო მეტი დეტალიზება რაც ფაკულტეტს სრულყოფილად აქვს შემუშავებული და წარმოდგენილი. გარე ექსპერტის რეკომენდაციის გათვალისწინებით პროგრამის სილაბუსებში უკეთ არის გამოკვეთილი ის კონკრეტული დარგობრივი კომპეტენციები რასაც სტუდენტი შესაბამისი საგნის სწავლების შედეგად შეიძენს.

პროგრამის შინაარსი, ECTS კრედიტების მოცულობა, თეორიული და პრაქტიკული

სწვალების კომპლექსურობა შეესაბამება სწავლების საფეხურს, ითვალისწინებს პროგრამაზე დაშვების ადექვატურ წინაპირობებსა და შესაბამის სწავლის შედეგებს. სტომატოლოგიის ერთსაფეხურიანი ინგლისურენოვანი საგანმანათლებლო პროგრამის ყველა სასწავლო კურსი ლოგიკურად და თანმიმდევრულად არის აგებული, რაც უზრუნველყოფს პროგრამის მიზნებსა და შედეგების მიღწევას. პროგრამა მოიცავს როგორც თეორიულ სწავლებას და ლაბორატორიულ სწავლებას, ასევე პრაქტიკებს, რაც ლაბორატორიული სწავლების გარდა, მიიღწევა კურაციული სწავლების სისტემით. პროგრამის კურიკულუმით გათვალისწინებული საგნები ისეა განაწილებული, რომ უზრუნველყოფს მარტივ და ზოგად სასწავლო დისციპლინებზე დაფუძნებულ რთულ სასპეციალიზაციო საგნების თანმიმდევრულ დაუფლებას. სწავლების პირველი წელიწადი დატვირთულია ზოგადი პროფილის საგნებით: ადამიანის ანატომია, სამედიცინო ქიმია, ციტოლოგია და ზოგადი ჰისტოლოგია და ა.შ., ხოლო მესამე სემესტრიდან სტუდენტები იწყებენ საფანტომო სწავლებებს სპეციალობებში, მაგალითად როგორიცაა „საფანტომო ოპერაციული ოდონტოლოგია“. სპეციალობებში ლექციები მიმდინარეობს გაერთიანებული სახით, ხოლო ლაბორატორიებში ხდება სტუდენტების დაყოფა მცირე რიცხოვან ჯგუფებად. პროგრამის კურიკულუმით გათვალისწინებული სასწავლო დისციპლინების სწავლის შედეგები შეესაბამება პროგრამის სწავლის შედეგებს და უზრუნველყოფს მინასიჭებელი კვალიფიკაციისათვის საჭირო ცოდნისა და უნარების განვითარებას. პროგრამის პირველ-მეოთხე სემესრებში კურიკულმით გათვალისწინებული ყველა საბაზისო და პრეკლინიკური დისციპლინის წარმატებული შესწავლა წარმოადგენს აუცილებელ წინაპირობას მეხუთე სემესტრში სტუდენტის დაშვებისათვის. ეს ერთგვარი საეტაპო ბარიერი გულისხმობს ბიოსამედიცინო და პრეკლინიკური მიმართულებით სტუდენტის მიერ თანდათანობით აკუმულირებული ცოდნის საკმარისობის დადასტურებას, რაც აუცილებელია კლინიკური, მათ შორის და უპირველესად მაპროფილებელი სასწავლო კურსების ვალიდური შესწავლის დაწყებისათვის. სტომატოლოგიის ერთსაფეხურიანი ინგლისურენოვანი საგანამანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული კურიკულუმი შესაბამისობაშია საქართველოსგანათლებისა და მეცნიერების მინისტრის N3 ბრძანებასთან და ევროპული კრედიტების ტრანსფერის სისტემასთან. სასწავლო პროგრამის მიერ შეთავაზებული საგნების კრედიტების მოცულობა ვარირებს 1-7 კრედიტებს შორის. ერთი ECTS კრედიტი უტოლდება 30 ასტრონომიულ საათს. პროგრამის შესახებ ინფორმაცია ღია და გამჭვირვალეა. სასუველია, დაკორექტირდეა ტექნიკური თუ ბეჭდური ხარვეზები, რომელიც აღინიშნება უსდ-დ მიერ წარმოდგენილ დოკუმენტაციაში.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ○ საგანმანათლებლო პროგრამა ○ სასწავლო კურსების სილაბუსები ○ სასწავლო კურსების სწავლის შედეგების და პროგრამის სწავლის შედეგების რუკა

- უნივერსიტეტის ვებ-გვერდი
- თსსუ-ს შინაგანაწესი

რეკომენდაციები:

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

1) ტექნიკური თუ ბეჭდური ხარვეზების დაკორექტირება სასწავლო პროგრამის სილაბუსებში.

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

- დარგობრივი სასწავლო კურსების ინტეგრაცია კომუნიკაციური უნარების სწავლება

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

-

შეფასება

ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

✓ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.3. სასწავლო კურსი

- ძირითადი სფეროს თითოეული სასწავლო კურსის სწავლის შედეგები შეესაბამება პროგრამის სწავლის შედეგებს, ხოლო ყოველი სასწავლო კურსის/საგნის/მოდულის/კონცენტრაციის შინაარსი და კრედიტების რაოდენობა შეესაბამება ამ კურსის სწავლის შედეგებს;
- სილაბუსში მითითებული სასწავლო მასალა დაფუძნებულია სწავლის სფეროს აქტუალურ მიღწევებზე და უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

სტომატოლოგიის საგანმანათლებლო ინგლისურენოვანი პროგრამა მიმდინარეობს სემესტრულად და გააჩნია თანმიმდევრული სტრუქტურა. პროგრამაზე არსებული კურსები უზრუნველყოფს პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევადობას. თითოეული სასწავლო კომპონენტზე დაშვების წინაპირობები და

თანაპირობები ლოგიკურად არის შემუშავებული. პროგრამის სტრუქტურა ადექვატურია სტუდენტებისთვის და ლოგიკურად აღსაქმელი, დაძლევადია. საგანმანათლებლო პროგრამის სავალდებულო საგნების სწავლის შედეგები სრულ შესაბამისობაშია აღნიშნული სასწავლო კომპონენტების შინაარსთან, პროგრამის სწავლის შედეგებთან და უმაღლესი განათლების შესაბამის საფეხურთან. თითოეული სასწავლო კურსი შექმნილია საჭირო საათობრივი დატვირთვის გათვალისწინებით, რომელიც ითვალისიწინებს სტუდენტის საქონტაქტო და დამოუკიდებელ საათებს და წარმოდგენილია ასტრონომიული საათების პროპორციულად ECTS კრედიტებში. თითოეული სასწავლო კურსის შედეგები შეესაბამაება უმაღლესი განათლების შესაბამის საფეხურს. ასევე განსაზღვრულია თითოეული კურსის შედეგების შეფასების კრიტერიუმები, რაც დეტალურადაა აღწერილი უსდ-ს მიერ მოწოდებულ თითოეული საგნის სილაბუსში: საკონტაქტო და დამოუკიდებელი მუშაობის საათები, სალექციო და პრაქტიკული მეცადინეობისთვის განსაზღვრული საათობრივი დატვირთვა, აკადემიური და პრაქტიკული ცოდნის შეფასების რუბრიკები - რაც დეტალურადაა აღწერილი თითოეული კურსისათვის და სასწავლო კურსის დაწყებისთანავე ხელმისაწვდომია სტუდენტებისათვის. სილაბუსში მითითებული სწავლის შედეგები მთლიანობაში კოორელაციაშია პროგრამით გათვალისწინებულ შედეგებთან. ლიტერატურა ხელმისაწვდომია სტუდენტებისთვის და განთავსებულია თსსუ-ს ბიბლიოთეკაში. ბიბლიოთეკის გარემო, რესურსები, სერვისები და მათი განვითარების ხედვა ხელს უწყობს სასწავლო და კვლევითი საქმიანობის ეფექტურ განხორციელებას. ფრიად მნიშვნელოვანია პროგრამის წარმატებისთვის მუდმივად განახლებადი სასწავლო ლიტერატურა. ამჟამად არსებული სასწავლო კურსი აღნიშნულ პროგრამა უზრუნველყოფილია განახლებული და რელევანტური ლიტერატურით. სასურველია ეს ტენდენცია პერმანენტული ხასიათის იყოს
მტკიცებულებები/ინდიკატორები ○ საგანმანათლებლო პროგრამა ○ სასწავლო კურსის სილაბუსები ○ სასწავლო კურსების სწავლის შედეგების და პროგრამის სწავლის შედეგების რუკა ○ თსსუ-ს ბიბლიოთეკა ○ თვითშეფასების ანგარიში
რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის უზრუნველყოფილი იქნას ლიტერატურის პერმანენტული განახლება
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

○
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) ○
შეფასება ✓ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.4 პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარება
პროგრამა უზრუნველყოფს, სწავლის შედეგების შესაბამისად, სტუდენტთა პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარებას და/ან მათ კვლევით პროექტებში ჩართვას.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი სტუდენტთა პრაქტიკული, კვლევითი, შემოქმედებითი უნარების განვითარების მიზნით თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის სტომატოლოგიის ფაკულტეტი ყოველწლიურად მრავალ აქტივობას ახორციელებს. კერძოდ: სტაჟირება საქართველოში; სტაჟირება საზღვარგარეთ; ადგილობრივ კონფერენციებში მონაწილეობა; საერთაშორისო კონფერენციებში მოხსენებები; სტატიები. საზაფხულო სტაჟირებას უცხოეთის სამედიცინო უნიერსტეტში გადიან არამარტო თსსუ-ს სტუდენტები, არამედ უცხოელი სტუდენტებიც ჩამოდიან საზაფხულო სტაჟირებაზე თსსუს საუნივერსიტეტო კლინიკებში. ყოველწლიურად სტომატოლოგიის ფაკულტეტის აკადემიური და ადმინისტრაციული პერსონალი მონაწილეობს მოკლე თუ გრძელვადიან მობილობის პროგრამებში. ვინაიდან ინგლისურენოვან პროგრამას ჯერ მხოლოდ 5 სემესტრის სტუდენტები ყავს, ხოლო მობილობა, უფრო ხშირად, პრეკლინიკურ და კლინიკურ ფაზებში ხორციელდება, მომავალში პროგრამის სტუდნეტებიც აქტიურად ჩაერთვებიან საერთაშორისო გაცვლით პროგრამებში. სტუდენტების მიერ პრაქტიკული უნარ-ჩვევების ათვისება სწავლების საწყის საფეხურზე საფანტომო კლასებში ხორციელდება, შემდგომ მიღებული თეორიული და პრაქტიკული ცოდნის, კლინიკური მანიპულაციების გაღრმავება იგეგმება უკვე დეპარტამენტების სტომატოლოგიურ სავარძლებზე პაციენტების მიღებით, პროფესორ-მასწავლებლების ზედამხედველობის ქვეშ. თითოეულ სილაბუსში დეტალურად არის მანიპულაციების

შეფასების სისტემა გაწერილი, რაც კურსის დასაწყისშივე სტუდენტებისთის ცნობილია და ხელმისაწვდომი. ამჟამად თსსუ-ს პარტნიორია 40-ზე მეტი ქვეყნის 120-ზე მეტი უნივერსიტეტი და საუნივერსიტეტო კლინიკა. ინტერვიუში მონაწილე ზოგიერთ სტუდენტს არ ქონდა მონაწილეობა მიღებული არც ადგილობრივ და არც საერთაშორისო სტაჟირებასა თუ კონფერენციებში. შესაბამისად, სასურველი იქნება სტუდენტების საერთაშორისო აქტივობის წახალისება. სტუდენტთა წვდომის პრეცენდენტი ფასიან ბიბლიოთეკებთან დადასტურდა ბიბლიოთეკის დათვალიერებისას და ადგილზე საკითხის შესწავლისას. თუმცა, ინტერვიუს საფუძველზე, სტუდენტების მხრიდან აღნიშნული იყო, რომ დამატებით ლიტერატურასთან მათ წვდომას პედაგოგები უზრუნველყოფდნენ.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ○ საგანმანათლებლო პროგრამა ○ ინტერვიუს შედეგები ○ წარმოდგენილი სტუდენტთა ნაშრომები და სერთიფიკატები ○ დაწესებულებებსა და თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტს შორის გაფორმებული ურთიერთთანამშრომლობის ხელშეკრულებები/მემორანდუმები.
რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის გაძლიერდეს სტუდენტთა წვდომა ფასიან ბიბლიოთეკებთან და სამეცნიერო პუბლიკაციასთან; წახალისდეს სტუდენტების მეტი ჩართულობა სამეცნიერო მუშაობაში.
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება ✓ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.5 სწავლება-სწავლის მეთოდები

პროგრამა ხორციელდება სტუდენტზე ორიენტირებული სწავლება-სწავლის მეთოდების გამოყენებით. სწავლება-სწავლის მეთოდები შეესაბამება სწავლების საფეხურს, კურსის შინაარსს, სწავლის შედეგებს და უზრუნველყოფს მათ მიღწევას.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის სტომატოლოგიის ერთსაფეხურიანი ინგლისურენოვანი საგანმანათლებლო პროგრამის თითოეულ კომპონენტში გაწერილია სწავლება-სწავლის მეთოდები, რომლებიც შეესაბამება სწავლების საფეხურს და თითოეული სასწავლო კურსის მიზნებსა და შინაარსს. პროგრამის სასწავლო დისციპლინები მოიაზრებენ როგორც თანამედროვე, ასევე ტრადიციულ მეთოდებს. მაგ:
ლექცია და სემინარი
თანამშრომლობითი სწავლა
შემთხვევის ანალიზი (case study)
კლინიკურ გარემოში სწავლება (bedside teaching)
კლინიკურ შემთხვევაზე დაფუძნებული სწავლება (CBL)

ასევე აქტივობებს, როგორიცაა:
სამეცნიერო კვლევითი მუშაობა
გონებრივი იერიშის მეთოდი (Brain Storming)
სწავლა გამოცდილებით - სტომატოლოგიის საგანმანათლებლო პროგრამის გავლისას ეს პროცესი წინაკლინიკურ ციკლებზე პრაქტიკული უნარ-ჩვევების ათვისებითა და გამოცდილების დაგროვეით სიმულაციურ გარემოში მიიღწევა, კლინიკურ ციკლებზე კი ეს გამოცდილება სტომატოლოგიურ კლინიკებში პაციენტის სავარძელთან და ყბა-სახის ქირურგიის სტაციონარებშისაოპერაციო მაგიდასთან და ავადმყოფის საწოლთან გამოიყენება. და ა.შ.

ქვეყანაში (მსოფლიოში) შექმნილი ეპიდ-სიტუაციის გამო განვითარებული პაციენტის დეფიციტის თავიდან ასაცილებლად და პაციენტის მოზიდვის მიზნით, რათა შენარჩუნებული იყოს პროგრამის მიზანი, შეიქმნას სპეც-პროგრამები სტუდენტის შეუფერხებელი კლინიკური დატვირთვის ხელშესაწყობად;

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- საგანმანათლებლო პროგრამა
- ინტერვიუს შედეგები

- პროგრამის სასწავლო სილაბუსები
- სტუდენტის პერსონალური ელექტრონული სისტემა sms.tsmu.edu
- უნივერსიტეტის ვებ-გვერდი www.tsmu.edu
- თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის, შემუშავების, გამვითარების მეთოდოლოგია და შეფასების მექანიზმები.

რეკომენდაციები:

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

ქვეყანაში (მსოფლიოში) შექმნილი ეპიდ-სიტუაციის გამო განვითარებული პაციენტის დეფიციტის თავიდან ასაცილებლად და პაციენტის მოზიდვის მიზნით შეიქმნას სპეც-პროგრამები სტუდენტის შეუფერხებელი კლინიკური დატვირთვის ხელშესაწყობად;

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

შეფასება

✓ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.6. სტუდენტების შეფასება

სტუდენტების შეფასება ხორციელდება დადგენილი პროცედურების მიხედვით, გამჭვირვალეა და კანონმდებლობასთან შესაბამისი.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

შუალედური შეფასებებისა და დასკვნითი გამოცდის შეფასების დაჯამების საფუძველზე (საბოლოო შეფასება 100 ქულა).

სტუდენტების მიღწევების შეფასება ხორციელდება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2007 წლის 5 იანვრის #3 ბრძანებით დამტკიცებული „უმაღლესი საგანამანთლებლო პროგრამების კრედიტებისთ გაანგარიშების წესის“, ევროპული კრედიტსატრანსფერო სისტემის (ECTS), საქართველოს პრეზიდენტის 2005 წლის 8 ივნისის #473 ბრძანების, საქართველოს კანონი „უმაღლესი განათლების შესახებ“, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2009 წლის 21 სექტემბრის #785 ბრძანების შესაბამისად.

შუალედური და დასკვნითი გამოცდების დროის გამოიყენება მრავალფეროვანი შეფასების ფორმები, მონო ან კომბინირებული მეთოდები, მაგ:

- ტესტები (MCQ)
- ზეპირი
- ზეპირი და წერითი
- საფანტომო კომპონენტ და ზეპირი
- კლინიკური კომპონენტი და ზეპირი
- ობიქეტურაად სტრუქტურირებული კლინიკური გამოცდა (OSCE).

ფაკულტეტი მოწინავეა ოსკის გამოცდის წარმართვაში. აღნიშნული გამოცდა ტარდება საუნივერსიტეტო ბაზაზე. ობიექტურად სტრუქტურირებული კლინიკური გამოცდის შეფასების სისტემა მრავალფეროვანია და მოქნილი. შეფასების ფორმები და კომპონენტები არის გამჭირვალე, სტუდენტების ცნობილი. შემფასებლითვის კარგადაა ცნობილი შეფასების თანამედროვე მეთოდები და ამ სფეროში თავისი უნარების განვითარებისათვის იღებს მხარდაჭერას.

სტუდენტებისთვის შეფასების კრიტერიუმები არის მრავალფეროვანი. მაგ:

კბილის მომზადება და არხის სამუშაო სიგრძის განსაზღვრა ტაქტილურად- ENDO სახაზვის გამოყენებით:

0-ვერცერთი პროცედურა ვერ შეასრულა

2-შეასრულა ერთი, ვერ შეასრულა ორი პროცედურა

3-შეასრულა ორი, ვერ შეასრულა ერთი პროცედურა

4- 1)დაადგინა კბილის ნუმერაცია, 2)შეარჩია სათანადო ინსტრუმენტი, 3)განსაზღვრა არხის სამუშაო სიგრძე ENDO სახაზავის გამოყენებით.

თითოეული პრაქტიკული საკითხი და შეფასების ინდიკატორი მორგებულია ინდივიდუალურად სხვადასხვა სასწავლო დისციპლინას რაც უზრუნველყოფს გამოცდის მაღალ ხარისხს და სასწავლო კურსის შედეგის მიღწევადობას.

X სემესტრის ბოლოს ტარდება ინტეგრირებული გამოცდა შემდეგ დისციპლინებში:

ოპერაციული ოდონტოლოგია და ენდოდონტია

ბავშვთა და მოზარდთა ქირურგიული სტომატოლოგია და ყბა სახის ქირურგია ყბა-სახის ქირურგია და იმპლანტოლოგია

ორთოდონტია

კლინიკური ორთოპედიული სტომატოლოგია.

დასკვნით გამოცდაზე სტუდენტის დაშვებისათვის აუცილებელ პირობას წარმოადგენს მინიმუმ 11 ქულა. აღსანიშნავია რომ სტუდენტს მხოლოდ დასწრებაში ენიჭება 5 ქულა, შესაბამისად კურსზე მხოლოდ სამჯერ დასწრება კურსით გაწერილი აქტივობების გარეშე

აძლევს მას საშუალებას გავიდეს ფინალურ გამოცდაზე. ფაკულტეტი ადმინისტრაციული კუთხით აორგანიზებს ისე რომ სტუდენტი სავალდებულო მანიპულაციების ჩატარების გარეშე ვერ გადის ფინალურ გამოცდაზე თუმცა ეს სილაბუსებში არ არის გაწერილი. სასურველი იქნებოდა, რომ დასკვნით გამოცდაზე დაშვების წინაპირობად განისაზღვროს სილაბუსით გათვალისიწინებული სავალდებულო მანიპულაციები და არა მხოლოდ 11 ქულა რაც ძალიან ადგვილად მისაღწევია სტუდენტისათვის. ასევე 11-ქულიანი ბარიეის აწევის პრეცენდენტი ასევე გააძლიერებდა სტუდენტების მიერ აკადემიური მოსწრების ამაღლების მოტივაციასაც.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ○ სტომატოლოგიის საგანმანათლებლო პროგრამა და სილაბუსები ○ თსსუ-ში სტუდენტის მიღწევების შეფასების წესი ○ თსსუ-ს გამოცდებისა და უნარჩვევების შეფასების ცენტრში გამოცდების ჩატარების წესი ○ საგანამანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების წესი ○ ინტერვიუს შედეგები
რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის ○ დასკვნით გამოცდაზე დაშვების წინაპირობად დაწესებული 11-ქულიანი ბარიერი გაიზარდოს (25 ქულამდე), შესაბამისად, 11-ქულიანი ზღვარის აწევა უზრუნველჰყოფს სტუდენტის მიერ შეფასების სხვა კომპონენტების შესრულების აუცილებლობას. ○ დასკვნით გამოცდაზე დაშვების წინაპირობად განისაზღვროს სილაბუსით გათვალისიწინებული სავალდებულო მანიპულაციები და არა მხოლოდ 11 ქულა
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): ობიექტურად სტრუქტურირებული კლინიკური გამოცდა (OSCE). ფაკულტეტი მოწინავეა ოსკის გამოცდის ოდონტოლოგიის სფეროში დანერგვასა და წარმართვაში. აღნიშნული გამოცდა ტარდება საუნივერსიტეტო ბაზაზე. ობიექტურად სტრუქტურირებული კლინიკური გამოცდის შეფასების სისტემა მრავალფეროვანია და მოქნილი. შეფასების ფორმები და კომპონენტები გამჭირვალეა, სტუდენტების ცნობილი. შემფასებლისთვის კარგადაა ცნობილი შეფასების თანამედროვე მეთოდები და ამ სფეროში თავისი უნარების განვითარებისათვის იღებს მხარდაჭერას. ასევე, შემფასებელი წარმოადგენს არა უშუალოდ სასწავლო კურსში ჩართულ პერსონალს, რომლის საშუალებითაც გამოცდის შედეგები ითვლება სრულად ობიექტურად.

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება ✓ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა	✓			

3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა

პროგრამა უზრუნველყოფს სტუდენტზე ორიენტირებული გარემოს შექმნას, შესაბამისი სერვისების შეთავაზებით; ხელს უწყობს სტუდენტების მაქსიმალურ ინფორმირებას, ახორციელებს მრავალფეროვან ღონისძიებებს და ხელს უწყობს სტუდენტების ჩართულობას ადგილობრივ და/ან საერთაშორისო პროექტებში.

3.1 სტუდენტთა საკონსულტაციო მომსახურება
სტუდენტი იღებს სასწავლო პროცესის დაგეგმვაზე, აკადემიური მიღწევების

გაუმჯობესებაზე, დასაქმებაზე სათანადო კონსულტაციას და კარიერულ განვითარებასთან დაკავშირებით მხარდაჭერას.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი ○ უნივერსიტეტს დიპლომირებული სტომატოლოგიის ინგლისურენოვანი პროგრამის სტუდენტების კონსულტირებისათვის გააჩნია წინასაწარ განსაზღვრული სტრატეგია და პროცედურები. ინფორმაციის მარავალფეროვნების შესაბამისად სხვადასხვა დეპარტამენტი/ხელმძღვანელი უზრუნველყოფს მათ კონსულტირებას. პროგრამაზე ჩარიცხვის მსურველთათვის ინფორმაცია განთავსებულია უნივერსიტეტის ვებ-გვერზე. თუმცა გასაუბრების შესახებ პროცედურა არ არის წინასწარ გაწერილი, კერძოდ ის კრიტერიუმები რის საფუძველზეც ხორციელდება სტუდენტების შეფასება. შესაბამისად ამ მიმართულებით ჩარიცხვის მსურველებს გააჩნიათ ნაკლები ინფრომაცია. ○ პროგამაზე ჩარიცხული სტუდენტებისათვის საკონსულტაციო საათების შესახებ ინფორმაცია გაწერილია წინასწარ თვალსაჩინო ადგილებზე (სილაბუსებში და სტენდებზე), თუმცა სტუდენტებთან გასაუბრებისას გამოვლინდა მათი ნაკლები ინფრომირებულობა აღნიშნული დამატებითი დროის გამოყენების შესახებ. ○ აკადემიური და ადმინისტრაციული პერსონალი ჩართულია სტუდენტების მხარდასაჭერად სასწავლო კურსების შერჩევაში და მათი თანმიმდევრობის განსაზღვრაში. კერძოდ, საჭირობის მიხედვით სტუდენტისათვის ხელმისაწვდიმია ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შექმნა, ამის შესახებ პროცედურა წინასწარ გაწერილია უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს მიერ დადგენილ წესში. ○ უნივერსიტეტის სხვადასხვა დეპარტამენტის ორგანიზებით ხორციელდება საინფორმაციო შეხვედრები/ტრენინგები სხვადასხვა მიმართულებით: უნივერსიტეტში მიმდინარე პროექტების, ელეტრონული ბიბლიოთეკის გამოყენების შესახებ და სხვა. პროგრამის სტუდენტებისათვის ხელმისაწვდომია სხვადასხვა საერთაშორისო პროექტებში მონაწილეობა. მათი მხრადაჭერა და მომზადება ამ მიმართულებით მიმდინაეობს უნივერსიტეტის აკადემიური და ადმინისტრაციული პერსონალის ჩართულობით. სტუდენტების ინიციატივების მხარდასაჭერად უნივერსიტეტს აქვს წინასწარ გამოყოფილი ფინანსური და მატერიალური რესურსები სხვადასხვა გრანტების სახით. ინფორმაცია ამის შესახებ არის საჯარო და ხელმისაწვდომი ვებ-

გვერდზე. თუმცა გასაუბრებისას მათი ინფორმირებულობა ამ მიმართულებით იყო ნაკლები. სტუდენტური თვითმართველობის მიერ ხორციელდება სხვადასხვა პროექტები სასწავლო პროცესის გასაუმჯობესებლად ასევე, სამეცნიერო, კლუტურული ან სპორტული აქტივობები.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ○ ინტერვიუები აკადემიურ, ადმინისტრაციულ პერსონალთან და სტუდენტებთან. ○ სტუდენტის ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავების წესი; ○ თსსუ-ის შინაგანა წესი; ○ თსსუ-ის რექტორის აპარატის დებულება; ○ სტუდენტების სოციალური დახმარების პროგრამა; ○ კურსდამთავრებულთა სამსახურის დებულება; ○ EMSA-სპეციალური ჯილდო; ○ თსსუ-ისთვითმმართველობის დებულება; უნივერსიტეტის ვებ გვერდი www.tsmu.edu
რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის ○ **სასურველი იქნებოდა, სტუდენტების მეტი ინფორმირებულობა საკონსულტაციო საათების არსებობობის და საჭიროების შესახებ. აღნიშნული დროის გამოყენების გაზრდა.** ○ **სასურველი იქნებოდა, სტუდენტების საერთაშორისო პროექტებში (მეტად სამეცნიოერო და პრაქტიკული უნარების განვითარების ტიპის) მონაწილების გაზრდა**
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება ✓ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

3.2 მაგისტრანტთა და დოქტორანტთა ხელმძღვანელობა
მაგისტრანტებსა და დოქტორანტებს ჰყავთ კვალიფიციური ხელმძღვანელი.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი ○ საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიშის, მასზე თანდართული დოკუმენტაციისა და აკრედიტაციის ვიზიტის შედეგად მიღებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით აღწერეთ, გააანალიზეთ და შეაფასეთ საგანმანათლებლო პროგრამის მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობა; ანალიზში უნდა აისახოს პრობლემატური საკითხები (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
მტკიცებულებები/ინდიკატორები ○ კომპონენტის მტკიცებულებები/ინდიკატორები შესაბამისი დოკუმენტებისა და ინტერვიუს შედეგების ჩათვლით
რეკომენდაციები: წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): ○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) ○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში) ○
შეფასება ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა	✓			

4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა

ადამიანური, მატერიალური, საინფორმაციო და ფინანსური რესურსები უზრუნველყოფს პროგრამის მდგრად, სტაბილურ, ეფექტიან და ეფექტურ ფუნქციონირებას და განსაზღვრული მიზნების მიღწევას.

4.1 ადამიანური რესურსი
➢ პროგრამას ახორციელებენ შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე პირები, რომლებსაც აქვთ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების გამომუშავებისათვის აუცილებელი კომპეტენცია; ➢ პროგრამის განმახორციელებელი აკადემიური/სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული სასწავლო პროცესის წარმართვას და ასევე, სამეცნიერო-კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო საქმიანობისა და სხვა მათზე დაკისრებული ფუნქციების ჯეროვან შესრულებას. აკადემიურ და მოწვეულ პერსონალს შორის ბალანსი უზრუნველყოფს პროგრამის მდგრადობას; ➢ პროგრამის ხელმძღვანელს გააჩნია პროგრამის შემუშავებისათვის აუცილებელი ცოდნა და გამოცდილება და უშუალოდაა ჩართული პროგრამის განხორციელებაში; ➢ პროგრამის სტუდენტები, უსდ-ის მიერ უზრუნველყოფილები არიან სათანადო რაოდენობისა და შესაბამისი კომპეტენციის მქონე ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალით.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი პროგრამის ხელმძღვანელები და განმახორციელებელი პერსონალი შერჩეულია ცოდნის, გამოცდილებისა და კვალიფიკაციის შესაბამისად. პროგრამაში ჩართული პირების კვალიფიკაცია შესაბამისობაშია კანონმდებლობისა და უნივერსიტეტში მოქმედ რეგულაციებში არსებულ საკვალიფიკაციო მოთხოვნებთან. პროგრამაში ჩართული პესონალის უმეტესობა არის შესაბამისი მიმართულების დოქტორი, იმყოფება აკადემიურ თანამდებობაზე და აფილირებულია უნივერსიტეტთან.

მოწვეული პერსონალი პრაქტიკული გამოცდილების მქონე პირებითაა წარმოდგენილი, რაც დასტურდება მათი პირადი საქმეებით. სულ პროგრამაში ჩართულია 99 აკადემიური და მოწვეული პერსონალი, რომელთაგან 69-ს აქვს აკადემიური ხარისხი. უნივერსიტეტთან აფილირებულია 69 პირი.

თბილისის სახელმწიფო სამედიიცნო უნივერსიტეტში მოქმედებს სტუდენტთა კონტიგენტის დაგეგმვის მექანიზმი და მეთოდოლოგია. აღნიშნული მეთოდოლოგიის გათვალისწინებით თანაფარდობა შემდეგნაირია: 1 პროფესორი არაუმეტეს 30 სტუდენტზე, 1 მოწვეული მასავწლებელი 50 სტუდენტზე. აკადემიურ და მოწვეულ პერსონალს შორის ბალანსი 69/30 უზრუნველყოფს პროგრამის მდგრადობას.

ინტერვიუს შედეგად გამოვლინდა გარემოებები, რომ ლექტორები აქტიურად არიან ჩართულები სტუდენტთა კონსულტირებისა და პროგრამის განვითარების პროცესში, ასევე პროგრამის ფარგლებში დაგეგმილ სხვადასხვა ღონისძიებებში

პროგრამის ხელმძღვანელს გააჩნია პროგრამის შემუშავებისათვის აუცილებელი ცოდნა და გამოცდილება და უშუალოდაა ჩართული პროგრამის განხორციელებაში. პროგრამის ხელმძღვანელი აქტიურად არის ჩართული სასწავლო პროცესში, ის არის სპეციალისტი სტომატოლოგიის დარგში, არის 27 სამეცნიერი ნაშრომის ავტორი, მიღებული აქვს მონაწილეობა ადგილობრივ და საერთაშორისო კონფერენციებში. აქტიურად მონაწილეობს პროგრამის შეფასების პროცესში.

ვინაიდან პროგრამაზე სწავლების ენა არის ინგლისური ენა, მინიმუმ B2 დონე, ლექტორებს, პროფესორ მასწავლებელებს გარდა დარგობრივი კომპეტენციისა ევალებათ გასაუბრება და ტესტის ჩაბარება ინგლისურ ენაში, რაც ასევე დადასტურდა პირადი საქმეების დოკუმენტაციებით და ინტერვიუს შედეგად.

კურსის განხორციელებაში მონაწილე აკადემიური პერსონალისა და მოწვეული პედაგოგების, ასევე სტუდენტების მეტი მოტივაციისა და წახალისების მიზნით მათი სამეცნიერო შრომების გამოქვეყნების ხელშოწყობა მაღალი ციტირების ინდექსის მქონე რეფერირებად ჟურნალებში წარმოადგენს პროგრამის კიდევ უფრო მეტი სრულყოფილების საწინდარს.

➢

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- ინტერვიუს შედეგები
- თსსუ-ს აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის რაოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგია
- აკადემიური და მოწვეული პერსონალის დატვირთვის სქემა
- პროგრამაში ჩართული აკადემიური მოწვეული და ადმინისტრაციული პერსონალის პირადი საქმეები.
- პროგრამის ხელმძღვანელის თანამდებობრივი ინსტრუქცია

რეკომენდაციები:

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

1) კურსის განხორციელებაში მონაწილე აკადემიური პერსონალისა და

მოწვეული პედაგოგების, ასევე სტუდენტების მეტი მოტივაციისა და წახალისების მიზნით მათი სამეცნიერო შრომების გამოქვეყნების ხელშოწყობა მაღალი ციტირების ინდექსის მქონე რეფერირებად ჟურნალებში
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება ✓ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

4.2 აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიული განვითარება
➢ დაწესებულება რეგულარულად აწარმოებს პროგრამაში ჩართული აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის შეფასებასა და შედეგების ანალიზს; ➢ უსდ ზრუნავს აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიულ განვითარებაზე, ასევე ხელს უწყობს მათ მიერ სამეცნიერო/კვლევითი საქმიანობის განხორციელებას.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი ზრუნავს აკადემიური, სამეცნიერო და მოვეული პერსონალის პროფესიულ განვითარებაზე. ასევე ხელს უწყობს მათ მიერ სამეცნიერო/კვლევითი საქმიანობის განხორციელებას. თსსუ-ში რეგულარულად ეწყობა სამეცნიერო თემატური კონფერენციები. უნივერსიტეტში არსებობს აფილირებული სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი, რომელიც რეგულარულად ახორციელებს აკადემიური საბჭოს სხდომებზე, განხორციელებული სამეცნიერო ანგარიშების წარდგენას. თსსუ-ს აკადემიური და მოწვეული პერსონალი აქტიურად მონაწილეობს საგანამანათლებლო, კვლევითი და სტომატოლოგიის სფეროსთვის მნიშვნელოვან

სამეცნიერო გრანტებში. პერსონალის ინფორმირებისათვის და მასალის ხელმისაწვდომობისთვის გამოიყენება როგორც მედია-საშუალებები, ასევე უნივერსიტეტის ვებ-გვერდი. უნივერსიტეტი ეხმარება ახალგაზრდა სპეციალისტებს 3-6 თვით აიმაღლონ კვალიფიკაცია უცხოეთის უნივერსიტეტებში. მოწვეულ პერსონალთან უმშუალო გასაუბრების დროს, მათ აღნიშნეს, რომ უსდ-ს მხრიდან მუდვივად გრძნობენ მხარდაჭერას მათ სამეცნიერო და აკადემიურ საქმიანობაში. არსებობს სრული ან ნაწილობრივი თანადაფინანსება. სასურველი იქნებოდა მოწვეული პერსონალის კიდევ უფრო მეტი წახალისების მიზნით მათი სამეცნიერო პუბლიკაციების დაფინანსება მოხდეს უსდ-ს მხრიდან. უნივერსიტეტში არსებობს პედაგოგთა გადამზადების ცენტრი, სადაც რეგულარულად ტარდება ტრენინგები „სამედიცინო განათლების მეთოდოლოგიაში“. აღსანიშნავია რომ სტომატოლოგიის პროგრამის ბიუჯეტი ითვალისწინებს ფაკულტეტის ადამიანური რესურსების სამეცნიერო კვლევითი მიმართულებით განვითარების პროექტების დაფინანსებას, რომლისთვისაც მიმდინარე წლის ბიუჯეტში გამოყოფილია თანხა. წარმოდგენილი პროგრამა ჯერ ძალიან ახალგაზრდაა, მიმდინარე სემესტრი არის მეხუთე, შესაბამისად დარგობრივი პრაქტიკული ტრენინგების განხორციელება მიმდინარე პროგრამის ლექტორებისთვის ჯერ არ განხორციელებულა, თუმცა ფაკულტეტის ინტერნაციონალიზაციის გეგმის და საერთაშორისო მემორანდუმების გათვალისწინებით მომავალში ადვილად მიღწევადია.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ○ ფაკულტეტის ბიუჯეტი ○ აკადემიური და მოწვეული პერსონალის პირადი საქმეები ○ ინტერვიუს შედეგები ○ საერთაშორისო პროექტებში, კონფერენციებში, კვლევებსა და ღონისძიებებში პერსონალის ჩართულობის მაჩვენებელი
რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): პერსონალის ტრენინგი - „ობიექტურად სტრუქტურირებული კლინიკური გამოცდა“ (OSCE)- ჩატარებისა და შეფასების მეთოდოლოგია.
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

შეფასება

- ✓ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

4.3 მატერიალური რესურსი

პროგრამა უზრუნველყოფილია იმ აუცილებელი ინფრასტრუქტურითა და ტექნიკური აღჭურვილობით, რაც საჭიროა საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მისაღწევად.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის სტომატოლოგიის ფაკულტეტი უზრუნველყოფილია ყველა იმ ლაბორატორიით და ინფრასტრუქტურით, რაც აუცილებელია სტომატოლოგიის პროგრამის განხორციელებისათვის. სასწავლო აუდიტორიები აღჭურვილია უახლესი ინფორმაციული ტექნოლოგიებით.
საფანტომო აუდიტორიებში მუშაობენ მცირერიცხოვანი ჯგუფები (მაქსიმალური რაოდენობა 8-9 სტუდენტი), თითოეული სტუდენტისთვის განკუთვნილია ინდივიდუალური სახარჯი მასალა, რისი განახლებაც ხდება ყოველწლიურად სტუდენტთა რაოდენობის გათვალისწინებით. საფანტომო ლაბორტორიები აღჭურვილია მრავალფუნქციური აპარატურით, მულაჟებით, ფანტომებით, ინსტრუმენტებით, მასალებით პროგრამის შესაბამისად.
თსსუ ფლობს კვალიფიციური სპეციალისტებით დაკომპლექტებულ მაღალტექნოლოგიურ 5 კლინიკურ ბაზას (ამჟამად პროგრესშია მე-6 ბაზის მზადებაც უნივერსიტეტის ტერიტორიაზე, სადაც განლაგდება 15-სავარძლიანი კლინიკა), სადაც მიმდინარეობს სასწავლო და კლინიკური აქტივობები:

- თსსუ-ს პირველი საუნივერსიტეტი კლინიკა
- თსსუ-ს გივი ჟვანიას სახელობის პედიატრიის აკადემიური კლინიკა
- თსსუ-ს აპ. ურუშაძის სახელობის სტომატოლოგიური კლინიკა
- თსსუ-ს 1 სტომატოლოგიური კლინიკა
- თსსუ-ს 2 სტომატოლოგიური კლინიკა
- უნივესიტეტმა ბოლო პერიოდში შეიძინა ინგოროყვას სახელობის კლინიკის 40%, რომელიც სტუდენტური ბაზის მოვალეობას შეასრულებს ყბა-სახის ქირურგიის კომპეტენციების ამაღლებისთვის.

განახლდა და განვითარდა უნივერსიტეტის საგამოცდო ცენტრი, სადაც ერთდროულად 212 სტუდენტს ელექტრონული საგამოცდო პროგრამის საშუალებით შეუძლია ტეტსტური გამოცდის ჩაბარება ონლაინ რეჟიმში. ცენტრი სრულად არის აღჭურვილი კომპიუტერული ტექნიკით.
სასწავლო კურსების სილაბუსებში მითითებული სავალდებულო ლიტერატურა და სასწავლო მასალა ხელმისაწვდომია ყველა სტუდნეტისთვის და აკადემიური პერსონალისთვის. მასალა წარმოდგენილია როგრც ბეჭდური, ისე - ელექტრონული

სახით. ბიბლიოთეკას აქვს წვდომა ისეთ ბაზებთან, როგორიცაა EBSCO, HINARY, AGORA, CAMBRIDGE UNIVERSITY JOURNALS და ა.შ. ყველა ზემოთ ჩამოთვლილი ხელმისწავდომია სტომატოლოგიის პროგრამის სტუდენტებისთვის და ლექტორებისთვის. სილაბუსებში შეტანილია ყველა კლასიკური და თანამედროვე სტომატოლოგიური სახლემძღვანელოები. თსსუ-ს საუნივერსიტეტო კლინიკები აღჭურვილია მაღალტექნოლოგიური დიაგნოსტიკური აპარატურით: კომპიუტერული ტომოგრაფები, ანგიოგრაფი, მაგნიტურ-რეზონანსული ტომოგრაფი.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ○ თვითშეფასების ანგარიში ○ საგანმანათლებლო პროგრამა და სილაბუსები ○ ინტერვიუს შედეგები ○ მატერიალურ-ტექნიკური ბაზის დათვალიერება ○ შესყიდვების საფინანსო-საბუღალტრო დოკუმენტაცია
რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება ✓ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

4.4 პროგრამის/ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტი და პროგრამის ფინანსური მდგრადობა
პროგრამის/ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტით გათვალისწინებული ფინანსური რესურსების გამოყოფა ეკონომიკურად მიღწევადია და შეესაბამება პროგრამის

საჭიროებებს.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი ფაკულტეტის ბიუჯეტის ხარჯვითი ნაწილი პასუხობს ფაკულტეტის გეგმის შესაამისად დასახულ მიზნებს. დიპლომირებული სტომატოლოგის ინგლისურენოვანი საგანამანთლებლო პროგრამის ბიუჯეტი ხასიათდება ზრდის ტენდენციით. 2019 წელს პროგრამის ბიუჯეტმა შეადგინა 1 164 800 ლარი, რაც გასული წლის ბიუჯეტთან შედარებთ 74%-ით მეტია. ბიუჯეტის განაწილება ხდება ადეკვატურად და უზრუნველყოფს პროგრამის ეფექტურობას. ბიუჯეტის უდიდესი წილი მოდის საგანამანთლებლო საქმიანობაზე. ბიუჯეტში გათვალსიწინებულია კადრების მმომზადება გადამზადებასთან, კვალიფიკაციის ამაღლებასთან და სტაჟირებასთან დაკავშირებული ხარჯები 3000 ლარი, სესიების, კონფერენციების და სხვა სამუშაო შეხვედრების ორგანიზაციის ხარჯები-2000 ლარი. საუნივერსიტეტო კლინიკების აღჭურვას თანამედროვე სამედიცინო აპარატურითა და დანადგარებით, რისთვისაც მიმდინარე წლის ბიუჯეტში გამოყოფილია 256 000 ლარი. ბიუჯეტში გათვალისწინებულია და ამჟამად მიმდინარეობს მატერიალურ ტექნიკური ბაზის გაუმჯობესება. სტუდენტთა შემდგომი ზრდის და გაზრდილი მოთხოვნების გათვალისწინებით იგეგმება ახალი სივრცეების მშენებლობა და რეკონსტრუქცია, არსებულის რემონტი. მიმდინარეობს მუშაობა თსსუ0ს მატერიალური რესურსებით სრულად აღჭურვა-მომარაგებისათვის, ენერგოეფექტური და ეკოლოგიურად სუფთა ტექნოლოგიების დანერგვისათვს.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ○ ფაკულტეტის ბიუჯეტი ○ საგანმანათლებლო პროგრამა
რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება ✓ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა	√			

5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები

სწავლების ხარისხის განვითარების მიზნით პროგრამა იყენებს შიდა და გარე ხარისხის სამსახურებს, პერიოდულ მონიტორინგსა და შეფასებას უწევს პროგრამას. აგროვებს და აანალიზებს რელევანტურ ინფორმაციას შესაბამისი გადაწყვეტილების მისაღებად და განსავითარებლად.

5.1 შიდა ხარისხის შეფასება
პროგრამაში ჩართული პერსონალი თანამშრომლობს შიდა ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან/პერსონალთან პროგრამის ხარისხის შეფასების პროცესის დაგეგმვის, შეფასების ინსტრუმენტების შემუშავებისა და შეფასების განხორციელების პროცესში და იყენებს ხარისხის შეფასების შედეგებს პროგრამის გასაუმჯობესებლად.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი თსსუ სტომატოლოგიის ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური, თსსუ-ს ხარისხის განვითარების ერთიანი კონცეფციის შესაბამისად, ექვემდებარება თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსს, ამასთან პარალელურად მოქმედებს ფაკულტეტის საგანმანათლებლო პროგრამის თავისებურების გათვალისწინებით. ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური ქმნის საგანმანათლებლო პროგრამის ხარისხის შეფასება-უზრუნველყოფისათვის საჭირო მონაცემთა ბაზას და ამუშავებს პირველად ინფორმაციას. უნივერსიტეტისა და ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის კოორდინირებული მუშაობა ხელს უწყობს დიპლომირებული სტომატოლოგის ინგლისურენოვანი საგანმანათლებლო პროგრამის ეფექტურ განხორციელებას - სწავლების, კვლევის და პროფესიული მზადების გზით ახალი ცოდნის შექმნასა და გავრცელებას, რაც თსსუ-ს მისიას წარმოადგენს. თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის წარმოდგენილი დოკუმენტაციით

(კითხვარები, მათი შედეგების ანალიზი) და ინტერვიუების შედეგებით დასტურდება, რომ პროგრამაში ჩართული პერსონალი აქტიურად თანამშრომლობს შიდა ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან. ინტერვიუების შედეგად პროგრამის სტუდენტებთან, კურსდამთავრებულებთან, აკადემიურ და მოწვეულ მასწავლებლებთან, თვითშეფასების ჯგუფთან, უნივერსიტეტის ადმინისტრაციასთან, დამსაქმებელთან დასტურდება თითოეული ჯგუფის ჩართულობა თვითშეფასების პროცესში, რის შედეგადაც არსებული და გამოვლენილი პრობლემების გადასაჭრელად იგეგემებოდა კონკრეტული ნაბიჯები. ჩასატარებელი სამუშაო ნაწილდებოდა შესაბამისი კომპეტენციის ჯგუფებს შორის. სტომატოლოგიის ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან ტანდემში ფუნქციონირებს და ახორციელებს ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკის შოვჰარტის (Shewhart) ციკლს (დაგეგმე, განახორციელე, შეამოწმე, განავითარე) ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ განსაზღვრულია სამიზნე ობიექტები, დიპლომირებული სტომატოლოგის ინგლისურენოვანი საგანმანათლებლო პროგრამის განვითარებისათვის: დიპლომირებული სტომატოლოგის ინგლისურენოვან საგანმანათლებლო პროგრამაში მონაწილე დეპარტამენტები, ადმინისტრაციული სტრუქტურები, პროგრამა, სასწავლო კურსების სილაბუსები, სტუდენტთა აკადემიური მოსწრება, აკადემიური პერსონალი და მოწვეული მასწავლებლები, სახელმძღვანელოები.

ფაკულტეტის დეკანატისა და დეპარტამენტების მუშაობის სტუდენტთა შეფასების კვლევის კითხვარების ანალიზი, რომლებიც შემუშავებულია ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ, ხორციელდება რეგულარულად. სასწავლო პროცესის გაუმჯობესებისათვის შემუშავებული რეკომენდაციები წარედგინება ფაკულტეტის აკადემიურ საბჭოს, დეპარტამენტებს და საფუძვლად ედება კურიკულუმის და სხვა, სასწავლო და ადმინისტრაციული პროცესების გაუმჯობესებას.

სტომატოლოგიის ფაკულტეტის დეკანატი ზედამხედველობას უწევს ფაკულტეტის აკადემიურ პროცესს. ფაკულტეტის საბჭოს წარედგინება გამოცდების შედეგები და ანალიზი. განხილვა ხდება გაუსის მრუდთან მიმართებით, თუმცა გათვალისწინებულია სტუდენტთა მოსწრების მაჩვენებლის სპეციფიკურობა და ის ფაქტი, რომ გაუსის ტიპის, შემთხვევითი განაწილების კრიტერიუმებით შეფასება ყოველთვის 100%-ით არ არის სანდო. თსსუ ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური უფრო ეფექტურ მექანიზმად მიიჩნევს სტუდენტთა აკადემიური მოსწრების კომპლექსური ანალიზს კონკრეტულ სასწავლო კურსში. დიპლომირებული სტომატოლოგის ინგლისურენოვან საგანმანათლებლო პროგრამი მასწავლებლების შეფასება ხორციელდება ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმებით:

სტუდენტთა მიერ - კითხვარებით, რომლებიც კონკრეტულ დეპარტამენტებშია შემუშავებული. დეპარტამენტის ხელმძღვანელისა და სასწავლო ნაწილის მიერ - ლექციასა და პრაქტიკულზე დასწრების შედეგად.

მიღწეული შედეგების ანალიზით, ადმინასტრაციისა და აკადემიური პერსონალის მიერ ინტერვიურებისას გამოთქმული იქნა მოსაზრება, რომ ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ფარგლებში ცალკე იქნას გამოყოფილი ინგლისურენოვანი პროგრამის ხარისხის უზრუნველყოფის ჯგუფი, რომელიც ფაკულტეტის თამანშრომლებთან ერთად კიდევ უფრო დეტალურად განიზილავს პროგრამის უწყვეტი განვითარებისთვის საჭირო მიმართულებებსა და მექანიზმებს. ეს კი, კიდევ უფრო შეუწყობს ხელს პროგრამის დახვეწას.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- უნივერსიტეტის ვებ-გვერდი;
- სილაბუსის შეფასების პრინციპები და კრიტერიუმები;
- სახელმძღვანელოების შეფასების პროცედურა და კრიტერიუმები;
- საგანმანათლებლო პროგრამების შეფასების კრიტერიუმები;
- ფაკულტეტებისა და აკადემიური საბჭოების სხდომათა ოქმები;
- სამეცნიერო სტატიის შეფასების კრიტერიუმები;
- ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის კითხვარები;
- ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის პრეზენტაციები ჩატარებული კვლევების შედეგების შესახებ (სტუდენტებთან);
- ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის შეფასების რაოდენობრივი მაჩვენებლები;
- პერსონალის გამოკითხვის შედეგები;
- პერსონალის შეფასების წესები;
- ხარისხის უზურნველყოფის სამსახურის დებულება;
- ინტერვიუს შედეგები.

რეკომენდაციები:

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ფარგლებში ცალკე იქნას გამოყოფილი ინგლისურენოვანი პროგრამის ხარისხის უზრუნველყოფის ჯგუფი, რომელიც ფაკულტეტის თამანშრომლებთან ერთად კიდევ უფრო დეტალურად განიხილავს პროგრამის უწყვეტი განვითარებისთვის საჭირო მიმართულებებსა და მექანიზმებს. ეს კი, კიდევ უფრო შეუწყობს ხელს პროგრამის დახვეწას.

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

შეფასება

- ✓ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

5.2 გარე ხარისხის შეფასება

პროგრამა რეგულარულად იყენებს გარე ხარისხის შეფასების შედეგებს.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

დიპლომირებული სტომატოლოგის საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შეფასების გარე მექანიზმები ხორციელდება „საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების“ და „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“მიხედვით.

განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრს თსსუს მიერ ყოველწლიურად წარედგინება საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ ინფორმაციას თვითშეფასების წლიური ანგარიშის სახით.

თსსუ_ს აკადემიური საბჭოს 2017 წლის 29 დეკემბრის #24/2 დადგენილებით დამტკიცებული დოკუმენრის „საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავების, დამტკიცების, მასში ცვლილებების შტანის და გაუქმების წესი“ მიხედვით, პროგრამაში განსახორციელებელ ცვლილებებს განიხილავენ პროგრამის ხელმძღვანელები და პროგრამაში ჩართული პერსონალი. ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის და ფაკულტეტის საბჭოს დადებითი გადაწყვეტილების შემთხვევაში, ინფორმაცია ცვლილებების შესახებ ეცნობება უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს და ცვლილებების განხორციელებასთან დაკავშირებულ ყველა სტუქტურულ ერთეულს.

პროგრამის განვითარებისთვის ძალზე მნიშვნელოვანია აკრედიტაციის და ავტორიზაციის ექსპერტთა რეკომენდაციები/რჩევები. თსსუ_ის მიერ გათვალისწინებულ იქნა 2012 წლის აკრედიტაციის ექსპერტთა რჩევები და 2018 წლის ავტორიზაციის ექსპერტთა სიტყვიერი თუ წერილობითი რჩევები. ამის მაგალითია, სასწავლო ლიტერატურის განახლების ინტენსიფიკაცია, მათ შორის, დიპლომირებული სტომატოლოგის ინგლისურენოვანი პროგრამისთვის,

2019 წელს პროგრამის გარე შეფასება განახორციელა საქართველოს აღმაშენებლის სახელობის უნივერსიტეტის მედიცინისა და სტომატოლოგიის სკოლის პროფესორმა. მისი რეკომენდაციების მიხედვით პროგრამაში შევიდა შემდეგი ცვლილებები:

სასწავლო კურსების სილაბუსებში უფრო დეტალურად გაიწერა გამოცდის ფორმა, მაგ.; კლინიკური ორთოპედიული სტომატოლოგია I, კლინიკური ორთოპედიული სტომატოლოგია 2 და სხვ.

სასწავლო კურსების სილაბუსებში უკეთ გამოიკვეთა ის კონკრეტული კომპეტენციები, რასაც სტუდენტი კურსის გავლის შემდეგ შეიძენს, მაგ.: ოპერაციული ოდონტოლოგიის

პროპედევტიკა, კომუნიკაციის უნარები და სხვ. გარე ხარისხის შეფასების ერთ-ერთი კრიტერიუმია დამსაქმებლის ინტერესი კურსდამთავრებულისადმი. აღნიშნული ფაქტის გათვალისწინებით, სასურველი იქნებოდა პროგრამის შეფასებაში დამსაქმებლის კიდევ უფრო აქტიური ჩართულობა
მტკიცებულებები/ინდიკატორები ○ გარე ხარისხის შეფასების შედეგები; ○ გარე ხარისხის შეფასების შედეგად განხორციელებული ცვლილებები ○ ფაკულტეტებისა და აკადემიური საბჭოების სხდომათა ოქმები ○ თსსუ-ის ვებ-გვერდი – www.tsmu.edu ○ შეფასების პრინციპები და კრიტერიუმები; ○ სახელმძღვანელოების შეფასების პროცედურა და კრიტერიუმები; ○ ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის კითხვარები; ○ ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის დებულება; ○ საქართველოს დავით აღმაშენებლის სახელობის უნივერსიტეტის წარმომადგენლის მიერ პროგრამის შეფასების დოკუმენტი.
რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის სასურველია, დამსაქმებლების აქტიური ჩართულობა პროგრამის განვითარების პროცესში, რათა შემდგომში კიდევ უფრო მეტად იქნას უზრუნველყოფილი შრომის ბაზრის ინტერესების ინტეგრაცია მომავალი დასაქმებულის სწავლის პროცესში - ბაზრის მოკვლევა და დამსაქმებელთა შეფასება, მათი გამოკითხვა არის ის პროცედურები, რაც ჩატარეულია უსდ-ის მიერ და რაც შეასაბამისობაშია უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის ახალ სტანდარტებთან. პროგრამის გაძლიერებისა და სამომავლოდ კურსდამთავრებულთა უკეთესი ინტეგრირებისთვის შრომის ბაზარზე სასურველია გათვალისწინდეს წინამდებარე რჩევა.
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება

✓ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

5.3. პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება

პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება ხორციელდება აკადემიური, სამეცნიერო, მოწვეული ადმინისტრაციული, დამხმარე პერსონალის, სტუდენტების, კურსდამთავრებულების, დამსაქმებლების და სხვა დაინტერესებული მხარეების ჩართულობით ინფორმაციის სისტემური შეგროვების, დამუშავებისა და ანალიზის მეშვეობით. შეფასების შედეგები გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავება ხდება ფაკულტეტის შიგნით,რომელიც ასევე განახორციელებს ცვლილებებს პროგრამის განვითარების უზრუნველსაყოფად, ზედამხედველობს კურიკულუმის შემუშავების პროცესის გამჭვირვალობას.პროგრამის ხელმძღვანელი პასუხისმგებელია როგორც პროგრამის შექმნა-განვითარებაზე,ასევე პროგრამის ყველა კომპონენტის სრულყოფილი განხორციელების უზრუნველყოფაზე. საგანმანათლებლო პროგრამას აფასებს უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს, რომელიც აფასებს პროგრამას დადგენილი კრიტერიუმებით. ამის შემდეგ, პროგრამა განსახილველად ეგზავნება კურიკულუმის კომიტეტს. კომიტეტი და ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური განიხილავს საგანმანთლებლო პროგრამას, აფასებს და ამზადებს დასკვნებს რეკომენდაციებით.

თსსუ-ის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მექანიზმი ხარისხის განვითარების ორი მიმართულებით ხორციელდება: არსებული ვითარების შეფასება და შეფასების საფუძველზე რეკომენდაციების შემუშავება/შეთავაზება გაუჯობესებისათვის ან შენარჩუნებისათვის. პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება ხორციელდება აკადემიური, სამეცნიერო, მოწვეული, ადმინისტრაციული, დამხმარე პერსონალის, სტუდენტების, კურსდამთავრებულების და სხვა დაინტერესებული მხარეების ჩართულობით, ინფორმაციის სისტემური შეგროვების, დამუშავებისა და ანალიზის მეშვეობით. პროგრამის კიდევ უფრო მეტად გასაუმჯობესებლად , სასწავლო კურსის დასრულებისთანავე, სტუდენტები ავსებენ სპეციალურ კითხვარებს, გავლილი სასწავლო კურსის და დეპარტამენტის შესახებ.წარმოებს მიღებული შედეგების ანალიზი,რაც მნიშვნელოვანია სასწავლო კურსის განხორციელებისას სწავლების მეთოდების, შეფასების, შედეგების ხარისხის გაუმჯობესებისთვისაა აუცილებელი პროგრამის მონიტორინგის შედეგები განიხილება ფაკულტეტის საბჭოზე, კურიკულუმის კომიტეტში, სასწავლო დეპარტამენტებში. შეფასების შედეგების გაანალიზების საფუძველზე ხდება პროგრამის და/ან შეფასების სისტემის მოდიფიცირება/ადაპტირება მისი განახლების

უზრუნველსაყოფად.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ○ პროგრამის მონიტორინგისა და პერიოდული შეფასების შედეგები; ○ აკადემიური/სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის სწავლების შეფასების შედეგები; ○ სასწავლო კურსის შეფასების მიზნით განხორციელებული აქტივობები და ცვლილებები; ○ უსდ-ის მიერ ჩატარებული სტუდენტთა გამოკითხვის შედეგები; ○ ინტერვიუს შედეგები.
რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება ✓ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია	ნაწილობრივ შესაბამისობაშია	არ არის შესაბამისობაში

		მოთხოვნებთან	მოთხოვნებთან	მოთხოვნებთან
სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები	✓			

თანდართული დოკუმენტაცია (არსებობის შემთხვევაში)

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სახელწოდება: სსიპ -თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი

უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება, საფეხური: დიპლომირებული სტომატოლოგი, ერთსაფეხურიანი

დასკვნის გვერდების რაოდენობა:45

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტები	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა	✓			
2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა	✓			
3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა	✓			
4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა	✓			
5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები	✓			

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის

სახელი, გვარი, ხელმოწერა

ვლადიმერ მარგველაშვილი



აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრ(ებ)ის

სახელი, გვარი, ხელმოწერა ქეთევან ნანობაშვილი



სახელი, გვარი, ხელმოწერა ვერა ხუნძაკიშვილი



სახელი, გვარი, ხელმოწერა ელენე ხურციძე